ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01251363425**
თარიღი: **16/05/2025**

**ადრესატი:** შპს ალფა ფროფერთი
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 404605094
**მისამართი:** თბილისი, მოსაშვილის 24 (ტელ: 551505655)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილი, თქვენი 2025 წლის 5 მაისის №10/01251254448-61 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე №01.16.03.058.080, №01.16.03.058.081, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში №AR11087711, №AR11087567, №AR11087568 და №AR11083508 განცხადებებზე წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, განხორციელდეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვების ვადის გაგრძელება.

აქვე გაცნობებთ, რომ წინამდებარე თანხმობა არ ცვლის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) (უფლებამონაცვლე: შპს „ალფა ფროფერთი“, ს/კ: 404605094, შემდგომში: მყიდველი) შორის 2021 წლის 29 აპრილს დადებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებითა“ (შემდგომში: ხელშეკრულება) და ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, სააგენტოსა და მყიდველს შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით (შემდგომში: შეთანხმება) გათვალისწინებულ რომელიმე პირობას ან ვადას. ამასთან, წინამდებარე თანხმობა არ შეიძლება განხილული იქნას, ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული ვადების ცვლილების თაობაზე საკითხის დადებითად გადაწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება და აქედან გამომდინარე, კანონიერი ნდობის წარმოშობის საფუძველი.

პატივისცემით,

სერგო ბირკაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი